



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო



37044-01-2-201909261058

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/37044

26/09/2019

ფრთხილად სასწრაფო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 12 სექტემბრის №07-05/98599 წერილით წარმოდგენილი „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და საქართველოს შორის პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL) II“ შეთანხმების პროექტის მიმართ, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, შინაარსობრივი შენიშვნები არ გაგვაჩნია.

ამასთან, მიზანშეწონილია დოკუმენტის ქართულენოვანი ტექსტის ინგლისურენოვან ტექსტთან შესაბამისობაში მოყვანა და სტილისტიური გასწორება, მათ შორის:

მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ინგლისურენოვანი რედაქცია განსხვავდება ქართული ვერსიისგან, ასევე გასწორებულია პუნქტების ნუმერაცია. ამასთან, ქართულენოვან ტექსტში გამოტოვებულია შემდეგი აზვაცის თარგმანი „the Borrower has met all requirements under its constitutional law and other applicable legal provisions for the valid assumption of all its obligations under this Agreement, and“. აქვე ფრაზა „მათ შორის ექვსი თავიდან ასაცილებლად, ჩანაწერის გაკეთება KfW-ს განთავისუფლებასთან დაკავშირებით ყველა გადასახადისგან პროცენტის შემოსავალზე, გადასახდელებისგან და სესხის გადაცემის მსგავსი ხარჯებისგან“ მიზანშეწონილია ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით „KfW სესხის გაცემისას საქართველოში დარიცხულ პროცენტზე გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან და ყველა მოსაკრებლისგან და სხვა მსგავსი გადასახადისგან“;

მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტში ფრაზა „ევროს ბანკთაშორისი შეთავაზებული კურსისგან“ შეიცვალოს ფრაზით „ევროში ბანკთაშორისი შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთით“;

დამატებით გაცნობებთ, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტს, ვინაიდან შეთანხმება რეგულირდება გერმანიის კანონმდებლობით, შეთანხმების 14.6 მუხლის თანახმად

პატივისცემით,
თეიმურაზ ჯანჯალია

დეპარტამენტის დირექტორი

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№14081

26 / სექტემბერი / 2019 წ.

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 12 სექტემბრის №07-05/98600 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (შემდგომში – „KfW“) შორის ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამასთან დაკავშირებით გასაფორმებელი სასესხო ხელშეკრულების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. ხელშეკრულების პროექტის 1.2 მუხლი მითითებას აკეთებს „ცალკე ხელშეკრულებაზე“, რომელიც უნდა გაფორმდეს „პროგრამის“ დეტალებთან დაკავშირებით იმავე მხარეებს, ანუ, საქართველოს, წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, და „KfW“-ს შორის. აღნიშნულთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც წინამდებარე სესხით დაფინანსებული „პროგრამის“ განხორციელება არ ხდება სხვა მესამე პირის, მაგალითად, „პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს“ მიერ, ამასთან, დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „ცალკე ხელშეკრულება“, როგორც წესი, ემსახურება სწორედ ამ პირთან სესხით დაფინანსებული „პროგრამის“ დეტალების ცალკე შეთანხმების მიზანს, ვინაიდან ის არ წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების - სასესხო ხელშეკრულების მხარეს, დამატებით უნდა შეფასდეს საკითხი წინამდებარე ხელშეკრულებისა და შესაბამისი „პროგრამის“ ფარგლებში „ცალკე ხელშეკრულების“ არსებობის მიზანშეწონილობის თაობაზე.

2. ხელშეკრულების პროექტის 2.3 მუხლის პირველ ნაწილთან (ქვეპუნქტების ნუმერაცია საჭიროებს კორექტირებას) შიშობით შევნიშნავთ, რომ „მსესხებლის“ მიერ „KfW“-სთვის წარსადგენი „იურიდიული დასაბუთება“ (Legal Opinion) გაიცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტისა და, ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების თანახმად, იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო ვალის აღების შესახებ ხელშეკრულებათა დადებასთან დაკავშირებული პროცედურების საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შესრულების დადასტურებას. შესაბამისად, ხელშეკრულების პროექტის 2.3 მუხლის პირველი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ გასაცემი იურიდიული დასაბუთება არ მოიცავდეს განცხადებას

„KfW“-ს საგადასახადო ვალდებულებებისგან განთავისუფლების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული განცხადების იურიდიულ დასაბუთებაში გათვალისწინება სცილდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციას. ამასთან, მიზანშეწონილია, 2.3. მუხლის პირველი ნაწილის „i“ ქვეპუნქტის შინაარსი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მის ფარგლებში საკონსტიტუციო სამართალზე მითითების ნაცვლად, მითითება მოხდეს, ზოგადად, „მსესხებლის“ კანონმდებლობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2.3. მუხლის პირველი ნაწილის „ii“ ქვეპუნქტის შინაარსი, ასევე, საჭიროებს კორექტირებას, რამდენადაც წინამდებარე ხელშეკრულება არ წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, ამასთან, მის საფუძველად მითითებული არ არის არც სხვა საერთაშორისო ხელშეკრულება, მაგალითად, „სამთავრობო შეთანხმება“, შესაბამისად, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-7 ნაწილით დაშვებული შესაძლებლობა საგადასახადო რეგულაციებისგან განსხვავებული პირობების დადგენის თაობაზე მოცემულ ხელშეკრულებაზე ვერ გავრცელდება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ხსენებული დებულება საჭიროებს კორექტირებას, მაგალითად, ამავე ხელშეკრულების პროექტის 1.3 მუხლის ან 9.1 მუხლის შინაარსის მხედველობაში მიღებით.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული იურიდიული დასაბუთება იუსტიციის სამინისტროს მიერ გაიცემა მხოლოდ ერთხელ, ამ ხელშეკრულების ხელმოწერისა და ძალაში შესვლის შემდეგ მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით, ხელშეკრულების პროექტის 2.3 მუხლის ბოლო პარაგრაფში დაზუსტებულ უნდა იქნეს ის დოკუმენტები, რომელთა გამოთხოვის უფლებაც ექნება „KfW“-ს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

აქვე, ზოგადად, შევნიშნავთ, რომ ზემოაღნიშნული მუხლი „KfW“-ს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი ამ მუხლით განსაზღვრული წინაპირობების დასადასტურებლად. ამდენად, მისი ამ ფორმით დატოვება უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

3. ხელშეკრულების პროექტის 3.2 მუხლის ტექსტი ბუნდოვანია და იძლევა მისი არაერთგვაროვანი განმარტების შესაძლებლობას. კერძოდ, მუხლის პირველი და მეორე წინადადებები განსაზღვრავენ „მართვის გადასახადის“ (Management Fee) გადახდის განსხვავებულ დროებს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, „მართვის გადასახადის“ გადახდა დაკავშირებულია ხელშეკრულების ხელმოწერასთან და არა ძალაში შესვლასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების პროექტის 3.2 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ აღმოიფხვრას ალტერნატიული გადახდის თარიღები და „მართვის გადასახადი“ გადასახდელი იყოს მხოლოდ სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

4. ხელშეკრულების პროექტის 5.5 მუხლით დადგენილია, რომ „KfW“-ს მიერ „მსესხებლისთვის“ გამოგზავნილი სესხის დაბრუნების შეცვლილი განრიგი სასესხო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი გახდება. აღნიშნულ დებულებასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი ახდენს საგარეო კრედიტის აღებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების რატიფიცირებას. ამასთან, ვინაიდან შეცვლილი სესხის დაბრუნების განრიგი არსებითად წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ცვლილებას და, 5.5 მუხლის მიხედვით, ასევე, ამავე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ამგვარი ცვლილებები რატიფიცირებულ უნდა იქნეს საქართველოს პარლამენტის მიერ. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სასესხო ხელშეკრულების პროექტის 5.5 მუხლში უნდა განისაზღვროს, რომ „KfW“-ს მიერ გამოგზავნილი სესხის დაბრუნების შეცვლილი განრიგი ხელშეკრულების ნაწილი გახდება მხოლოდ აღნიშნულ განრიგზე „მსესხებლის“ თანხმობის გამოცხადებისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირების შემდეგ.

ამასთან, აღნიშნული შენიშვნა ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების ფორმისა და მათი ძალაში შესვლის თაობაზე გასათვალისწინებელია ხელშეკრულების პროექტის 14.4 მუხლის მიმართაც, ვინაიდან, აღნიშნული დებულების თანახმად, ცვლილებები ხელშეკრულებაში შესაძლებელია, განხორციელდეს ზეპირი ფორმითაც.

5. ხელშეკრულების პროექტის მე-14 მუხლის მიმართ, ზოგადად, შევნიშნავთ, რომ საკითხი ხელშეკრულების მარეგულირებელ სამართლად – გერმანული სამართლის, ხოლო დავების გადაწყვეტის ფორუმად – საერთაშორისო სავაჭრო პალატის წესების შესაბამისად მოქმედი საარბიტრაჟო ტრიბუნალის, განსაზღვრის თაობაზე უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

6. ხელშეკრულების პროექტის 14.7 მუხლის თანახმად, „KfW“-ს ყველა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ხუთ (5) წელს. აღნიშნული დებულება ეწინააღმდეგება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსს“, რომლის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმადაც, სახელშეკრულებო მოთხოვნებთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 (სამ) წელს. ამასთან, ხელშეკრულების პროექტის 14.7 მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას უკავშირებს არა „KfW“-ს მიერ მოთხოვნის უფლების არსებობის გაგებას, არამედ იმ კალენდარული წლის დასასრულს, რომელშიც წარმოიშვა მოთხოვნა და „KfW“-მ შეიტყო ამის შესახებ. ზემოაღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 130-ე მუხლთან, რომლის თანახმადაც, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან (მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ). გარდა ზემოთქმულისა, გახანგრძლივებული ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება მხოლოდ „KfW“-ს მოთხოვნებზე, რაც ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორობის პრინციპს. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ხსენებული მუხლი მთლიანად ამოღებულ იქნეს ხელშეკრულების პროექტიდან.

7. ხელშეკრულების პროექტის 14.8 მუხლის მიმართ შევნიშნავთ, რომ საკითხი იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე საჭიროებს დამატებით შეფასებასა და გადაწყვეტას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში, შესაბამის წინადადებას მიზანშეწონილია, დამატოს შემდეგი ჩანაწერი: „...“consular premises” including any bank accounts as defined in the Vienna Convention...“. ამასთან, ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის ფარგლებში მითითება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის „21-ე მუხლზე“ უნდა შეიცვალოს ამავე კანონის „21 მუხლზე“ მითითებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელშეკრულების პროექტის 14.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიმართ შევნიშნავთ, რომ ცალმხრივად, მხოლოდ „KfW“-სთვის დამატებით სასამართლოში დავის დაწყების უფლების მინიჭება არღვევს ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობის ზოგად პრინციპს, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეები უკვე თანხმდებიან არბიტრაჟის წესით დავის განხილვაზე; შესაბამისად, აღნიშნული დებულება ამოღებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების პროექტის 14.9 მუხლიდან.

8. ამასთან, საკითხები: ა) ხელშეკრულების პროექტის 6.4 მუხლის თანახმად, მსესხებლისთვის უფლება-მოვალეობების გაქვითვის უფლების შეზღუდვის; ბ) ხელშეკრულების პროექტის 6.8 მუხლის თანახმად, „KfW“-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის „prima facie“ მტკიცებულებად მიღების; გ) ხელშეკრულების პროექტის მე-8 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ვალდებულების „მსესხებლის“ მიერ აღების; დ) ხელშეკრულების პროექტის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „მსესხებლის“ მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის სხვა არსებული თუ სამომავლო ვალდებულებების თანაბარი („pari passu“) მომსახურებით უზრუნველყოფის; ე) ხელშეკრულების პროექტის მე-11 მუხლის არსებული რედაქციით ჩამოყალიბების თაობაზე (ვინაიდან აღნიშნული რედაქციის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვს მხოლოდ „KfW“-ს და, ამასთან, საქართველოს მხრიდან ბრალეულობის არარსებობის შემთხვევებშიც, უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი
მოადგილე

ხელმოწერა/
შტამგადასმულია
ელემენტრულად



მიხეილ სარჯველაძე



KA020185786822419

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 24/7735

25 / სექტემბერი / 2019 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი ამა წლის 12 სექტემბრის N 07-05/98594 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ საქართველოსა და რეკონსტრუქციის განვითარების ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელ სასესხო შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელმეპროწილად



დავით თვალაბეიშვილი



საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

N 07-05/98594
12/09/2019



<https://edoc.mof.ge/public/#/>

98594-07-05-2-201909121008

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის მოადგილეს
ბატონ დავით თვალაბეიშვილს

ბატონო დავით,

გიგზავნით საქართველოსა და რეკონსტრუქციის განვითარების ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელ სასესხო შეთანხმების პროექტს ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოსათვის 60 მლნ ევროს გამოყოფას ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხის სახით.

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მოგვაწოდოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასკვნა ზემოაღნიშნული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით.

დანართი: დოკუმენტის პროექტი ინგლისურ ენაზე არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად

პატივისცემით,

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე





საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-04/3588

3588-04-2-201909121837

12/09/2019



საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

თქვენს 2019 წლის 12 სექტემბრის
N07-05/98591 წერილზე

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა საქართველოსა და გერმანიის
რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელი სასესხო
შეთანხმების პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ენერგეტიკის სექტორის რეფორმის
პროგრამასთან.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი
დოკუმენტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

არჩილ მესტვირიშვილი

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი





საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

Ministry of Finance
of Georgia



<https://edoc.mof.ge/public/#/>

103390-07-05-2-201909251626

N 07-05/103390

25/09/2019

დასკვნა

საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელ „ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის“ სასესხო შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით

საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელ „ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის“ სასესხო შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სასესხო შეთანხმების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე

